№ 35. 3 სექტემბერს 1871 3 სექტემბერს № 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა


**გაზეთის ფასი**

თფილისში და გარეშე ადგილებში: გაგზავნით / გაუგზავნელათ:

| | | |
|---|---|---|
| ერთისს წლისა | 7 მან. | 6 მან. |
| ნახევარის წლისა | 4 — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | 2 — 50 კ. | 2 |
| ერთის თვისა | 1 — | „ — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | „ — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით — ასოზე ½ კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

**ხელის-მოწერა მიიღება:**

**თფილისში** — „**დროების**“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**

**ქუთაისში** — გ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან გაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.


### შინაარსი


საქართველო: ტყიბულას თაობაზე,— სიღნაღის სამღვდელოების მდგომარეობა („დროების“ კორრესპონდენცია). — გორიდგან („დროების“ კორრესპონდენცია),— წვრილი ამბები.— რუსეთი: ოდესელი მედროჟკეების ამბავი,— წვრილი ამბები.— უცხო ქვეყნები:— საფრანგეთი,— ინგლისი,— გერმანია.— სამართალი: ნეჩაევის საქმე.— განცხადებაბი.

ფელტონი: შთამომავლობითი პოეტის დღიურიდგან.


# საქართველო

## ტყიბულას თაობაზე

ჩვენ წავიკითხეთ გაზეთში, რომ ტყიბულას ქვის ნახშირი უყიდია უ. ნოვოსელსკის *) ჭანდელაკებისაგან და აგიაშვილებისაგან ოთხმოც ათას მანეთად (80,000 მან.). ამ საქმემ ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა, რომ ამოდენი ადგილი, სადაც არის ქვის ნახშირი, გაუყიდიათ ასე იაფად. ამასთანვე გავიგეთ, რომ უფ. ჭანდელაკები და აგიაშვილები ვითომც უნდა დაკითხებოდნენ ამ საქმის თაობაზე ერთს პირს ქუთაისში, რომელსაც, უეჭველია, უნდა ცოდნოდა ქვის ნახშირის მნიშვნელობა ახლანდელ დროში და მაშასადამე მისი დაფასებაც.

ამისა გამო ჩვენ ვიფიქრეთ, რომ უთუოთ ტყიბულის ნახშირი მეტი არ ღირებულა, თორემ ის პირი როგორ შეცდებოდა ასე ბავშურათ. მაგრამ, ვაი, ჩვენი იმედი არ გამართლდა საუბედუროდ.

ამ მოკლე დროში ჩვენ შეგვხვდა შემთხვევა წაგვეკითხა ერთი ძველი რუსული ჟურნალი („Горный журналъ“ 1847 წლისა), რომელშიაც შევხვდით ტყიბულის ქვის ნახშირის აღწერას ორი პირისაგან.

პირველათ აღუწერია ამ ნახშირის თვისებაები და გეოლოგიური ხასიათი სამეცნიერო აკადემიის წევრს, უფ. აბიხს და მეორეთ ინჟინერს ანტიპოვს, მმართებლობის ბრძანებით 1845 წელს.

უფ. აბიხის სიტყვით, ეს ქვის ნახშირი ძალიან კარგი თვისებისა და მაშასადამე კარგი გამოსაყენებელია ყოველ გვარ საქმეში. რაც შეეხება მეორე მხარეს უ. აბიხის აღწერაში, ე. ი. გეოლოგიურ მხარეს, აქ შესანიშნავი ის არის, რომ უ. აბიხს კარგათ გამოკვლევის შემდეგ შეუნიშნავს, რომ ქვის ნახშირში რეულა რკინის და სპილენძის მადნეულობა; ამას გარდა კარგათ დაელის შემდეგ უნახავს რამოდენიმე ადგილებზე ამოთხრილი შახტები, საიდანაც ამოუტანიათ ძველ დროში რკინა და სპილენძი. შესახებ ამისა უ. აბიხი ამბობს, რომ ძველ დროში აქიდამ უთუოდ ბლომათ ამოქონდა ხალხს რკინა და სპილენძი და ვაჭრობდა მითი სხვა ხალხებთანო. ამასთანავე შეუნიშნავს უ. აბიხს, რომ ეს შახტები (ჩათხრილები) იყვნენ ისე მოხერხებულად გაკეთებულნი, რომ ეტყობა, ძველ დროში აქაური ხალხი კარგათ ყოფილა ამ საქმეში დახელოვნებულიო.

ჩვენის აზრით ეს ფაქტი ბევრს რასმეს განგვიმარტებს ჩვენ ისტორიაში, თუ კი მოვიგონებთ ჰეროდოტის სიტყვებს, რომელიც ამბობს, რომ შავი-ზღვის პირად ძველ დროში ხალხმა კარგათ იცოდა რკინეულობის ხელობაო. აქედამ უ. აბიხს გამოყავს ის, რომ ახლანდელ დროშიც უნდა იყოს მანდ რკინის ანუ სპილენძის მადნეულობაო. ეს აზრი გვგონია, კიდევაც მართლდება უ. სკანდელის სიტყვებით, რომელსაც უნახავს ტყიბულაში რკინეული წყალი (№ 28 „დროება“).

აქედამ სჩანს, რომ უ. ჭანდელაკებს და აგიაშვილებს ერთი მადნეულის მაგივრად, სამი ერთად გაუყიდიათ ო თ ხ მ ო ც ა თ ა ს ჯ ე რ ნაკლებ ფასათ. რკინის და სპილენძის მადნეულობა კიტყუილათ წაულია უ. ნოვოსელსკის, თუმცა უეჭველია, რომ უ. ნოვოსელსკის კარგათ ეცოდინებოდა უ. აბიხის სტატია და თვითონაც თავის თვალებითაც დარწმუნდებოდა ამ მადნეულობის არსებობაში.

ამ სტატიის მიზანი ის არის, რომ უჩვენოს მკითხველს, რა დიდი ჭირია უმეცრება და როგორ სარგებლობენ მითი ზოგი ადამიანები, რომელთათვის, საუბედუროდ, ბედს მიუცია საშუალება, ცოტაოდეინ მიხვდომილება და ნამეტანი დაუზოგველობა თავიანთი მახლობლებისა...

ახლა ჩვენ მოვიყვანთ უ. ანტიპოვის აზრს ამ ტყიბულას ქვის ნახშირზე. უ. ანტიპოვი იყო გამოგზავნილი ტყიბულის მმართებლობისაგან 1845 წელსა ამ ნახშირის თვისების შესატყობლად. მისმა გამოძიებამ გამოაჩინა, რომ ეს ნახშირი ძალიან კარგი არის ყოველნაირ სახმარებლად.

ამას გარდა მისივე გამოძიებით იქაური ნახშირი სულ ცოტა რომ იყოს, 64,800,000,000 ფუთი მაინც იქნება (სამოცდა ოთხი ათას რვაასი მილიონი ფუთი.)

ახლა ვნახოთ: რა უნდა ეღიროს ამოდენი ნახშირი!

ოდესაში მოაქვთ ინგლისიდამ ნახშირი და ყიდიან ფუთს 20—25 კაპეიკათ.

ვსთქვათ, რომ ტყიბულის ნახშირი გაიყიდა ადგილზე 2 კაპეიკათ (რომელიც ძალიან

*) როგორც გაგვიგია, ეს ნასყიდობა ჯერ-ჯერობით საბოლოოთ შესრულებული არ არის, და ჩვენ ვურჩევთ მეპატრონეებს ამ სტატიის შინარსზე დაფიქრდნენ, სანამ ამ ნასყიდობას შეასრულებენ.— რედ.

# ფელტონი

## შთამომავლობითი პოეტის დღიურიდამ.

27 ივლისი 18......

ეს არის ეხლა მოვედი რუსეთიდგან!.. თითქმის თორმეტი წელიწადია, რაც მე ზამთარში კავკასიაში არა ვყოფილვარ! ისე დაჩვეული ვარ რუსეთის ჰაერს, რომ მიკვირს შემოდგომას მზიანი დღე! თორმეტი წელიწადი! ეხუმრებით ამ დროს! ამ ხანში საქართველო ძალიან გამოცვლილა. ათის წლის წინათ ფოთში, ორი სამი სახლის მეტი არ იყო, და ეხლა კი „გაზდილა, გაფსილა, ვერი დღის სარონიებელი გამხდარა“!—პარახოდში რომ მოვდიოდი, პირველ კლასში ერთი ყმაწვილი კაცი იჯდა; მისი სახე ამტკიცებდა, რომ კავკასიის მზე უნახამსო! პატარა ხან შემდეგ ვნახე, რომ ქართულს ლაპარაკობდა! საშინლათ მინდოდა შემეტყო, თუ ვინ იყო: ესთქვი, თუ ვაჭარია მეთქი, ჩვენი მხარე განათლებულა; მართლა რომ ვაჭარი ყოფილა! მოდი და ნუ იტყვი, რომ გაენათლებულვართ! ვაჭარი და პირველ კლასში. უწინ ვაჭრები პალუბაზე იყვნენ ხოლმე და პური ფოთიდგან ოდესსამდე მიჰქონდათ, ხარჯი არ მოგვივიდესო! ამ მცირე ფაქტმა ძალიან გამახარა: მაშასადამე ვაჭრებსაც გაუგიათ კომფორტი და კეთილცხოვრება და აღარ იწუხებენ თავს უბრალო გროშის რასჩოტით! ხუმრობა გაშვებით და ეს პირველი ნიშანია ცივილიზაციისა.

28 ივლისი

რა სასტუმროები ყოფილა ფოთში! ასეთი სუფთა ნომერი შემხვდა, რომ იამება კაცსა! ტავერნოგში ოთხი საათი ვიარე და ერთი სუფთა ოთახი ვერ ვიშოვნე; ასეთი უწმინდური სასტუმროებია, რომ კაცს გული აერევა!. აჰა! ესეც მეორე ნიშანი ცივილიზაციისა! მესამე ფაქტი, ე. ი. რკინის გზა, ხომ სრულებით დაურღვეველათ ამტკიცებს ჩვენს განათლებას.— ამ უკანასკნელ ფაქტზედ კი ვიჭვნეულობ: მინამ რკინის გზით მე თითონ არ წაველ, არ დავიჯერებ რომ იყოს!

„ჭევრჯელ მოვსტყუვდი და მოვსტყუვდები“!

მოსკოვიდამ წიგნი მაქვს რკინის გზის დირექტორთან, რომ შემწეობა მომცეს და ფოთიდგან თუ შეიძლებოდეს რკინის გზით გამისტუმროს ქუთაისამდინ.

თუმცა არა მჯერა, რომ იყოს გზა მაინც კიდევ ვცდი, რა უშავს.............. ვნახე დირექტორი და ბილეთიც მომცა, ამაღამ მიდის პოეზდი ქუთაისს.—საშინელი დაუჯერებელი კაცი ვარ; წაველი და მეორე დღისთვის პარახოდის ბილეთიც აეიღე, ვინ იცის, იქნება არ დადის მეთქი მაშინა! ათ საათზე მიველ სტანციასთან! შეხედე, ვა! გაგონილა! აი, დიდება შენა ღმერთო, მართლა რომ რკინის გზის სტანციებსა ჰგავს! თვალები მოვიფშვნიტე, ხომ სიზმარი არ არის მეთქი! ვხედავ, ერთი ალიაქოთია, პოეზდს ამზადებენ, ვაგონებსა სწმენდენ.— მაინც კიდევ ჯიბეში პარახოდის ბილეთი ვნახე, არ დავკარგო მეთქი.— ათ საათიდგან ოთხ საათამდე მაცდევინეს, დირექტორს მოელოდნენ.— ოთხ საათზე დაწკარუნეს ზარი, გამოველ და.... აი დიდება შენთვის ღმერთო! კონდუქტორი დავინახე... სწორი კონდუქტორი, რუსულ ტანისამოსით..... შეველი კარგათ გაწყობილ ვაგონში და დაიძრა მაშინა! ოჰ! გმადლობ შენ ღმერთო! გადავიწერე პირჯვარი; იმიტომ კი არა რომ მეშინოდა ხიფათი არა მოხდეს რა მეთქი, იმიტომ რომ ღმერთმა მაღირსა ის დრო, რომ კავკასიაში რკინის გზით მივდივარ! ხან აქეთ ფანჯრიდგან ვიყურები, ხან იქით! სწორეთ რომ რკინის გზაა! მახლას, რომ სიზმარი იყოს, ვფიქრობ? ამ დროს, ჩვეულებრივ ვაგონში როცა ვჯდები ხოლმე, პორტმონე გავსინჯე, ხომ არავინ მომპარა მეთქი! მაშასადამე სიზმარი არა ყოფილა.

29 ივლისს.....

აკი გუშინ ბევრის შთაღბეჭდილობით ჩამძინებოდა! საკვირველი სიზმარი ვნახე! თფილისში გადავედი, მაგრამ ისე გამოცვლილიყო ქალაქი, რომ ველარ ვიცან! გასუფთავებული, გაწმენდილი. საშინელი მოძრაობა იყო, აქ ღესდენ სახლებს, იქ ფანჯრებს სწმენდნენ, ქუჩებს აგებდნენ, ასწორებდნენ. ჩემი ნაცნობი იაკობ მიკირტიჩ რომ არ დამენახა თავის მუცლით და თვალის მკვრელის თვალით პარიჟი მეგონებოდა. სიზმარშიაც კი მომაგონდა, რომ ბევრი ხანია არ ვყოფილვარ მეთქი ქალაქში და სჩანს, რომ ესე გამოცვლილა.— ბულვარზე დავდიოდი და ჩემი ნაცნობი მებატონე დამხვდა, საშინლათ გამოცვლილიყო. უწინ ასე მოკაკული დადიოდა, რომ ოთხმოცის წლის ბებერსა ჰგვანდა და ახლა კი ისე გაყმაწვილებულიყო, რომ თითქმის ველარ ვიცანი. უწინ რომ ეუბნებოდნენ, ეგრე მოკაკული რათ დადიხარო, ის უპასუხებდა ხოლმე: „აბა ჩემოდენა ფული შეჭამეო და ვალათ გედოსო, თუ რომ შენც არ მოიკაკოო!“ ეხლა რომ ესე გასწორებული ვნახე, ვიფიქრე უთოოთ ვალები გადაუხდია მეთქი. მაგრამ საიდან? მივედი; ისეთ აღტაცებაში იყო, რომ მძლივს მიცნო! რაო, რა დაგმართვია მეთქი? პროექტი დავწერეო, და ქვეყანა უნდა გავამდიდროო! წამოდი საზოგადოებაში მივდივარ უნდა ვილაპარაკოო! მეც წავყევი, და გზაზე, მითომ წავიბორძიკე, ჯიბეზე ხელი მოვარტყი, მართლა ფული ხომ არა აქვს მეთქი! მაგრამ ვაი! როგორც ათის წლის წინათ, ისე ეხლა ვერ გავიგონე მის ჯიბიდგან „კეთილშობილური მეტალის“ ხმა! მძლივს მივსდევდი, ისე მირბოდა. ბოლოს მივედით ერთ მშვენიერ დიდ შენობასთან, ბევრი ხალხი ირეოდა ამ სასახლის წინ. კედელზე დიდი აფიშა ეკრა არშინის ასოებით დაწერილი:

„დ ღ ე ს ა რ ი ს ს ხ დ ო მ ა
გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა!“

ეს რა სასახლეა მეთქი, ვკითხე ჩემს ნაცნობს მოდი, შემოდი ეს; „განათლების საზოგადოება“ არისო! დღეს მე აქ ჩემი პროექტი უნდა გამოვაცხადოო! შევედით ერთ უშველებელ ზალაში, რომელიც ხალხით სავსე იყო და შესცქეროდნენ კათედრას, რომელზედაც უნდა თქმულიყო რეჩები. პატარა ხანს უკან დაწკარუნეს ზარი და გამოვიდა ერთი შავწვერიანი კაცი, ავიდა კათედრაზე და დაიწყო ესე ლაპარაკი:

„მოწყალენო ხელმწიფენო! (სმენა, სმენა!) დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ შესანიშნავს დღეს! დღე ესე არის შესანიშნავი ამიტომ რომ პირველია ამ ქვეყანაში ამისთანა საზოგადოების დაფუძნებისა, რომელსაცა აქვს საძირკველათ განათლება ერისა, მისი გამდიდრება, კეთილ-ცხოვრება, და ბედნიერება (სმენა, სმენა!). ამ სხდომაში უნდა განვიხილოთ, თუ როგორ აღვასრულოთ ზემომოხსენებული ჩვენი ვალდებულება. ამას ვგონებ დამტკიცებაც არ უნდა, რომ პირველი მოთხოვნილება ერის კეთილ-ცხოვრებისა მდგომარეობს განათლებაში, მაშასადამე ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვანათლოთ ხალხი, მივცეთ მას

იაფი იქნება) ფუთი, მაშინ მთელი ნახშირი ეღირება (1,296,000,000) ათას ორას ოთხმოცდა თექვსმეტ მილიონ მანეთათ.

ვსთქვათ, რომ სამუშავოთ და გზების გასაკეთებლად დაიხარჯა ხუთი მილიონი; მაინც შემდეგ შთამომავლობას და მეპატრონეებს დარჩებათ ათას ორას ოთხმოცდა თერთმეტი მილიონი მანეთი!

აი რა სიმდიდრეს კარგავს უმეცრება!

ჩემის აზრით, ესეც კმარა მკითხველისათვის, რომ მიხვდეს, რა ანგარიშის პატრონები უნდა იყვნენ უ. პანდელაკები და აგიაშვილები, და მათი მრჩეველი, და რა სიმდიდრეს უკარგავენ ისინი ჩვენს ღარიბ ქვეყანას.

დ. ჩქოტუა.

20 აგვისტოს 1871
ოდესსა.

## სიღნაღის სამღვდელოების მდგომარეობა

(„დროების" კორრესპონდენცია).

ვკითხულობ რა, უფ. რედაქტორო, თქვენს გაზეთს „დროებას", მე ვხედავ, რომ თქვენი „დროების" გვერდები არის აღვსებული სხვა და სხვა ამბებითა, რომელნიც შეეხებიან თავადთა და აზნაურთა, გლეხთა, მოხელეთა, მოქალაქეთა და სხვა; მაგრამ, სწორე უნდა მოგახსენოთ, იმაში მე ვერ ვნახე, გარდა შორაპნელისა, ვერა რამე, რომელიც რომ შეხებოდა სასულიერო წოდებასა. ნუთუ სასულიერო წოდების პირნი არ არიან ღირსნი ხალხის განსჯისა? ნუთუ ამათში კი არ იპოება ზნეობები საქებელნი ანუ დასაძრახნი? ნუთუ სამღვდელო პირთ შუა კი არა ჰხდება რა ღირსი ხალხის დანახვისა და მათის განსჯისა? მაგრამ, იქნება თქვენ თქვათ, რომ ეს არ შეეხება ჩვენს გაზეთს „დროებასაო", მათის სიტყვის გასაამჟღავნებლათ უნდა იყოს სასულიეროვე ჟურნალიო. *) მაგრამ, განა არ იცით, რომ სასულიერო ჟურნალი არა გამოდის რა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს ენაზედ? ნუთუ არ იცით, რომ სასულიერო წოდებას არ აქვს, როგორც თვითონ ამბობენ მალ-მალე თავისის ბოდიშის მოსახდელათ, შეძლება, რომ ჟურნალი იწერონ ანუ დაიცვან რაიმე ჟურნილი დაცემიდგან? მაშ რა ვქნათ? მაშა სასულიერო წოდება უსიტყვო უნდა იყვეს, რომ ვერა გამოთქვას რა თავისი შეწუხება და თავისი გარემოება ხალხის წინა? აშით ჩვენ იმათ მოვაკლებთ ჩვენის საზოგადოების წევრობასა. ანუ ჩვენ იმათ გავხდით უნებურათ საზოგადოების უსიტყვო წევრებათა. მაშასადამე იმათის საჭიროების და აზრის გამოსათქმელ ორგანოთაც უნდა იყოს თქვენგნით გამოცემული გაზეთი „დროება"; თქვენმა „დროებამ", რანგან მეტი ღონე არ არის, უნდა ილაპარაკოს მათზედაცა. ისინი ხომ არ შეადგენენ რომელსამე განსაკუთრებითს თოხუმსა (კასტას), რომ ხალხისთვის მათზე ლაპარაკი იყოს დიდი დანაშაულობა? მაქო! თუკი სოფლათ ვერ ნახამ იმისთანა კაცსა, რომ არ ეჩხუბებოდეს თავის მღვდელსა, (რასაკვირველია განწესისაგამო), ზოგჯერ უშვერის პირითაცა, მაშ რა დასაძრახი იქნება მათზედ მოლაპარაკება, არა უშვერის პირითა, არამედ დახათრებითა, კრძალვითა და დიდის თავაზით და პატივის ცემითა. ამისთვის დღეს მე მინდა თქვენს გაზეთში ორიოდე სიტყვა ვსთქვა ჩვენი მხრის სამღვდელოების მდგომარეობაზე.

სიღნაღის მაზრას კარგათ ვიცნობ, განსაკუთრებით აქაურს სამღვდელოებასთან მე დაახლოვებითი კავშირი მაქვს, და ამიტომ რასაც იმათ მდგომარეობაზე ვიტყვი, დამეჯერება. მთელს სიღნაღის მაზრაში მე ერთი მღვდელი არ მინახავს, რომ თავის ბედის კმაყოფილი იყვეს. უმეტესი ნაწილი იმათგანი თავისვე მრევლს უჩივის და ბლალოჩინებსკი ყველანი ემდურიან. „ჩვენ მრევლის და ბლალოჩინის ხელში ვართო, ხშირათ გამიგონია აქაურის მღვდლებისაგან. ჯამაგირი ჩვენ არა გვაქვს, მრევლი ჩვენ აღარას გვაძლევს; და რასაც გვაძლევს, იმაშიაც უმთავრესი წილი ბლალოჩინს უძევსო."

რამდენიც მე დავკვირვებივარ აქაურ მღვდლების ცხოვრებასა— ეს სიტყვები სრულიად მართალია: აქაური მღვდლები მართლა რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში და სიღარიბეში არიან ჩავარდნილნი. თქვენ დამეთანხმებით, უფ. რედაქტორო, რომ სამღვდელოებას ჩვენს მდაბიო ხალხზე შეუძლია დიდი გავლენა ჰქონდეს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ თვითონ ისინი განათლებულნი იყვნენ და მუცამ ლუკმა პურზედ არ ზრუნავდნენ. ახლა მითხარით—აქაურს მღვდლებს, რომელნიც მუდამ ამ ლუკმა-პურის შოვნაზე ფიქრობენ და რომელთ რიცხვში იშვიათათ თუ მოიპოვება სემინარიაში კურს შესრულებული—რა კეთილი გავლენა უნდა ჰქონდეს მდაბიო ხალხის ზნეობაზე და საზოგადოთ ცხოვრებაზე? ანა და რომელი წამოვა ჩვენში სამსახურისთვის, რომელი მოინდომებს ამისთანა მდგომარეობაში ძალათ თავის ჩაგდებას? მოციქულების დრო წავიდა, უფ. რედაქტორო; ახლა ყოველი კაცი, რა წოდებისაც უნდა იყოს, სრულ კმაყოფილებას თუ არა, უნაკლულო ცხოვრებას მაინც დაეძებს....

აქაური მღვდლები მრევლს უჩივიან. ამბობენ, არც ჯვრის დასაწერს არც, მიცვალებულის გასაძღოლს, არც მოსანათლავს ხალხი არას გვაძლევსო. მართალია, თვითონ საზოგადოებამ უნდა დაასაჩუქროს თავის მოსამსახურე პირები, მაგრამ ისიც უნდა მიიღონ ყურადღებაში, რა მდგომარეობაში არიან აქაური გლეხები. სიღნაღიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენციებისგან თქვენ კარგათ გაიცანით ეს მდგომარეობა.

მაგრამ მრევლზე უფრო აქაური მღვდლები თავიანთ ბლალოჩინებზე სჩივიან და ამ შემთხვევაში იმათი საჩივარი, ჩემის აზრით, უფრო საფუძლიანია. აქ მე მოვიყვან ერთი ქიზიყელი მღვდლის ნაამბობს. ეს ამბავი ცოტათი გრძელია, მაგრამ იქიდამ ნათლათ შევიტყობთ—თუ რა მდგომარეობაში არიან აქაური მღვდლები და როგორ დამოკიდებულებაში არიან ისინი ბლალოჩინებისგან:

— „ამბობენ, რომ მინამ რუსები მოვიდოდნენ აქ, ქიზიყში, ოცამდის არქიელი იყოვო. ამათ თურმე ყველას რამდენ რამდენიმე ეკკლესია ებარათ და თვითონ ისინი ყოფილან ბლალოჩინებიცა და არქიელებიცა. ეხლა, რაც ჩვენი საქართველო რუსეთს დაემორჩილა, და აქ გაიმართა კანტორა და კანცელარია ექსარხოსისა, მას აქეთ აქ, ჩვენში, ბლალოჩინებ დაიწყეს; ჯერ იყო ბლალოჩინების განწესება ექზარხოსის ნებით; ეხლა, როგორც გამიგონია, რუსეთში თურმე მღვდლებზედ მიანდეს ბლალოჩინების ამორჩევა. აქაც, კაცმა მართალი უნდა თქვას, იყო მაგალითი ამორჩევისა, მაგრამ, სწორე გითხრათ, სწორეთ ვერც წავიდა და ვერც მიდის .... ბლალოჩინებმა დაგვიჭირეს ხელში და როგორც უნდათ, ისრე გვიშვრებიან.

—აი თითონ ეხლა ჩემი ეკკლესია: ჩემი შემოსავალი სულ სტაროსტისა და ბლალოჩინის ხელშია. შემოვა რამე: ან ქათამი, ან ღვინო, ან ცხვრის კურატი, ან ფულათ, მაშინვე ბლალოჩინის კაცი გააქცევს ბლალოჩინთანა. ის წინა სალამოთივე გამოგზავნილი არის ბლალოჩინიდგან სათვალთვალოთ; და თუ იმასთან ხმა ამოვიღეთ, მაშინ ვაი ჩვენი ბრალი? სტაროსტაც იმისი მხარეა, რადგან იმის დაყენებული არის. ფულიც, თუ არის რამე, სტაროსტის ხელშია და სხვა კრუჟკების შემოსავალიც, ჩვენ არც გვკითხავენ, თუ რა არის და რა შემოვიდა. თუ რა ძალა აქვს ბლალოჩინს და რა შეუძლია იმას—ამის საჩვენებლათ მე გიამბობთ ერთ შემთხვევას: ერთ ადგილას ბლალოჩინისაგან ილაჯ-წართმეულმა მღვდლებმა იჩივლეს მთავრობასთან და ითხოვეს მისი გამოცვლა და მის მაგიერათ სხვის ბლალოჩინის ამორჩევა კენჭის ყრითა. მთავრობისაგან ქაღალდი მოვიდა, რომ სხვა ბლალო-

*) პატივცემული კორრესპონდენტი ტყუილათ გვემდურის ამაში: „დროების" რედაქციას თვითონაც უ-ლაპარაკნია ჩვენს სამღვდელოებაზე და არც სხვისთვის დაუჭერია თავის გაზეთში სალაპარაკო ადგილი. მაგრამ უფრო დაწვრილებითა და გარკვევით ლაპარაკი „პოლიტიკურს და სალიტერატურო" გაზეთს არ მოეთხოვება.

რედ.

---

შკოლები, გიმნაზიები და უნივერსიტეტი!......"

ჯერ ეს უკანასკნელი სიტყვა არ დაესრულებინა, ასეთი ხმაურობა შედგა, რომ მეგონა სახლი დაინგრევა მეთქი! „არ გვინდა, არ გვინდა. ჰყვიროდა ხალხი. ნუღარ ილაპარაკებთ!" შავ წვერიანი კაცი თითქმის გადმოაგდეს კათედრიდგან. იმის ალაგი დაიჭირა ერთმა ღენერალმა.—„ძმანო, ღენერალო!" შეჰყვირა ხალხმა, და ასეთი სიჩუმე შეიქნა, რომ ბუზს გაეფრინა, კაცი გაიგონებდა. ღენერალი ცოტა დაბალი იყო და კათედრიდგან მარტო თავი და ეპოლეტები უჩანდა! „ძმანო, სთქვა ღენერალმა, ჩემი ჭაღარა თმა და ჩინი გიმტკიცებთ, რომ მე სიტყვა დამეჯერება! ხომ ხედამთ, რა ჩინიცა მაქვს! (ამ დროს ღენერალმა მხრები აიწია. „შენაცვალე მაგ ჩინსა!" ხალხში ვიღამაც წამოიძახა). უნდა იცოდეთ, რომ მე სალდათობიდგან დამიწყვია სამსახური...... ხომ კარგათ მოგეხსენებათ, რომ, თუ კაცი სამსახურში არ არის და ჩინი არა აქვს, ის კაცი კაცათ არ ჩაითვლება! მაშ ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენს შვილებს და მოძმეს უშოვნოთ ჩინი! რადგანაც ყველაზედ ადვილათ ჩინი მიიღება სამხედრო სამსახურში, მე გირჩევთ, რომ სამხედრო სასწავლებლები გაემართოთ. უნივერსიტეტი იმიტომ არ ვარგა, რომ იქიდგან ჩვენი ახალგაზრდობა გამოდის უდიპლომო, ე. ი. უჩინო, და გვარცხვენენ. მე გირჩევთ, რომ ვისაც შვილი დაებადოს, მაშინვე აკვანში სალდათის მუნდში გახვიოს და პირზე იუხტა დააფაროს, რომ პატარაობიდგანვე სონს შეეჩვიოს და შეუყვარდეს სამხედრო სამსახური!„ „ამინ" დასძახა ერმა. აბა მაშ კენჭი ჩამოატარეთ!"

ამ დროს ჩემმა ნაცნობმა მებატონემ ეღარ მოითმინა და წამოვარდა! „ბატონებო, მოითმინეთ! სთქვა მან. თუმცა თქვენ დათანხმდით ბრწყინვალე ღენერალის აზრზე, მაგრამ იმედი მაქვს, მეც მათქმევინებთ ორიოდე სიტყვას. (სთქვას, სთქვას!)—ერმა ისურვა სამხედრო სასწავლებლების დაფუძნება! მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ მიიღო მხედველობაში, რომ ჩვენთვის სწავლა სრულებით მეტია! აბა, ბატონებო, მიიხედ მოიხედეთ: მიჩვენეთ ერთი ყმაწვილი, რომელიც სწავლული იყოს! არც ერთს არა აქვს დიპლომი! მიდიან რუსეთში, შევლენ ერთი ორი წელი უნივერსიტეტში და მერე გამორბიან, აღარ გვინდაო სწავლაო, იყენებენ წვერებსდა ლანძღვენ უწინდებურს კაცებს! მეც გახლდით რუსეთში (ძიდეც იმიტომ დაგარქვეს „რუსეთუმე"—ვიღამაც დაუძახა.) და ჩემ თავზედ დავრწმუნდი, რომ ქართველი ღმერთს სწავლისთვის არ გაუჩენია! ქართველს შვენის დარბაისლობა და ბატონობა! მეორეც ესეც არ მიიღეთ მხედველობაში, რომ კაცი მხოლოდ მაშინ მიჰყვება სწავლას, როდესაც მუცელი სავსე ექნება, ე. ი. ოდეს ექნება ლუკმა პური! აბა ჩვენმა შვილებმა როგორ უნდა ისწავლონ, რომ ჩვენ ყელამდინ ვალებში ვართ? მოვა ის დღე, როდესაც სუყველა მებატონეს მამული გაეყიდება და დაეხოცებით შიმშილით! ამ მდგომარეობას უნდა უშველოთ როგორმე. ჩემის აზრით უნდა მოხდეს შინაგანი სესხი, და მით საზოგადოებამ გადაუხადოს მებატონეებს პრიკაზის ვალები! ვგონებ, რომ ამ აზრზე ყველანი დამეთანხმებიან, თორემ აბა რა დროს სწავლაა! მე შიმშილითა ვკვდები, თქვენ შკოლებს მისხნით; არა, შკოლა ისეც ძნელი მოსანელებელია და ამ შემთხვევაში ხომ რაღა! მე მამულს ვკარგავ ვალში.—თქვენ უნივერსიტეტზედ ლაპარაკობთ! ოხ! ვალებო! ვალებო!" ამოიოხრა ჩემმა მებატონემ. კაცი რომ კარგათ დასცქეროდა, დაინახავდა, რომ მას ცრემლები სდის. პატარახანს გაჩნდა სიჩუმე, ორატორი წავიდა ფიქრში და შემდეგ, თითქო „მუზთა შთაჰბერესო", დაიწყო სიმღერა, „ბაღში ვარდი რათ მინდოდას" ხმაზე:

აბა სწავლა რათ მინდა მე,
თუ სავსე ვარ ვალითა მე!
თუ რომ მაქვს კოტრი ჯიბე,
რას მიშველის შკოლები მე!
 ახ, ვალებო, ვალებო!
 პრიკაზისა ვალებო!

ჩინდ რომ მამკლა, ხმას არ გაგცემ,
თუ ვალის ხდის იმედს მომცემ,
მაშინ კია, მე გარწმუნებ,
სწავლასაც მოვიწადინებ.
 ახ ვალებო, ვალებო!
 პრიკაზისა ვალებო!

მიკვირს ეგრე რამ გაგვხადა,
ვილუპებით ათას ფრათა!
ვეიყიდიან მამულებსა,
რომ ვერ ვაძლევთ პროცენტებსა!
 ახ ვალებო, ვალებო!
 პრიკაზისა ვალებო!

ვაი! ფულო, რა კარგი ხარ,
მაგრამ სულ სომხებისკენ ხარ!
ჩვენზედ რაზე შემომწყრალხარ,
რას გიშავებთ, ერთი მითხარ?
 ახ ფულებო, ფულებო!
 სომხებისა ფულებო!

დაიწყევლოს ის დროება,
ოდეს ვიწყე ვალის ღება!
თუ რომ ვალებს გადაგვიხდით,
მაშინ შკოლებს თვით ჩვენ გავსხნით!
 ვალებო, ახ ვალებო!
 პრიკაზისა ვალებო!

ამ დროს ჩემმა ნაცნობმა გადმომხედა, თითქო მთხოვს რასმეო და უფრო დიდის ოხვრით ესე განაგრძელა;

თუ რომ ახდა ეს სიზმარი,
და მე მაშინ ვიყო მკვდარი,
ვთხოვ, საფლავში ჩამომძახო:
„ვაპატიეს ვალებითქო!"!
 ახ! ვალებო, ვალებო,
 პრიკაზისა ვალებო!

„აფერუმ, რუსეთუმე"! დაიძახა ხალხმა. კარგი აზრია! „ვეპატიეთ! გვაპატიეთ!"

ამ დროს წამოდგა ერთი მაღალი კაცი დიდ ულვაშებიანი და სთქვა!—„ძმანო, მე არა ვარ თანახმა ამის აზრზე, თუმცა კი კარგათ მოგონილია! ჩვენში ორიოდე მებატონე იპოვება რომელსაც ვალები არა ჰმართებს, მაშასადამე ისეთი რამ უნდა იყოს რომ ყველას ერგოს. ჩემის აზრით, ნასესხის ფულით ვიყიდოთ გოგირდი!... „გაგიჟებულა, დაიყვირა ხალხმა! რა დროს ხუმრობაა!"—„მოითმინეთ, ბატონებო, გამოვსთქვა ჩემი აზრი! რადგან ყველა მებატონეს ზვარი აქვს და ნაცრით უფუჭდებათ, ისა სჯობიან, რომ იმ ფულით გოგირდი ვიყიდოთ და დაურიგოთ მებატონეებს ვაზის დასაყრელათ!"—„ეგეც კარგია", თქვეს რამდენიმე პირებმა. ამ დროს ერთი მოხუცებული კაცი გამოვიდა და დაიწყო ლაპარაკი! „მე არცერთი აზრი არ მომწონს. უკანასკნელ მებატონეს ეტყობა, რომ კახელია და ჩვენი ვინაობა არ იცის! ჩვენში ბევრი მებატონე იპოვება, რომ ზვრები არა ჰქონდეს, და რადგანაც გინდათ, რომ თანასწორეთ მოიხმაროთ ნასესხი ფულები, სჯობს, რომ პატივი იყიდოს და მუქთათ დაურიგდეს მებატონეებს, მიწა ხომ ყველასა აქვს!" „კარგი აზრია! დაიძახა ხალხმა. დავნიშნოთ„ პატივის კამისია! კამისია! კამისია!" შეიქნა ღრიალი; ამ დროს ვიღამაც ხელი მკრა:

— Станція Ново-Сенаки, 10 минутъ! . .

ჩინი ამოერჩიათ. მაგრამ ეჰე! რა გამოვიდა? კანცელარიამ ეს ქაღალდი აღმორჩევისა ასწია და გამოუგზავნა, თავისის ექსარხოსიდგან გარდაწყვეტილობითა, თვით ბლაღოჩინს; ბლაღოჩინმა ეს ქაღალდი როდის გამოაჩინა; ადგა და წავიდა თავის საბლაღოჩინოში, მითომ სარევიზიოთ. რასაკვირველია, ამ რევიზიაში ზოგს ცუდი რამე უპოვნა. მღვდლებიც შეშინდენ და არ იცოდენ რა ექნათ. იმათ დაუწყეს თხოვნა, რომ არ დაესმინა ისინი ადგილსა. ამით ბლაღოჩინმა ისარგებლა და უთხრა, რომ, თუ დასმენა არ გინდოდათო, მაშ რათ იჩივლეთ ჩემზედაო? მათ შეფიცეს, რომ იმაზედ მათ არ უჩივლიათ, რომ სხვა მღვდელმა შეაცდინა ისინი, რომ ისინი იმისი მადლობელნი არიან. ბლაღოჩინმა ჩამოართვა იმათ ხელწერილი, რომ ისინი არა სჩივიან და ჰსურთ ბლაღოჩინათ ისევ ის ბლაღოჩინი. ამ ნაირათ ბლაღოჩინმა მოიმხრო რამდონიმე მღვდელი. დარწმუნებული, რომ კენჭით აღრჩეული ბალები მოუვა იმას მეტი, და მაშასადამე ისევ დარჩება ბლაღოჩინათ, ამ იმედით ის წამოვიდა ერთ სოფელში, განსაკუთრებითის მიწერილობით მოიწვია სხვა მღვდლები, და გამოუცხადა გარდაწყვეტილობა მთავრობისა.. მღვდლები გაიყვნენ ორ პარტიათ; ერთი პარტია მიემხრო თვით ბლაღოჩინს, მეორე ერთს მღვდელს თავიდგანსავე. დაიწყეს კენჭის ყრა. შვიდი კენჭი ამოუვიდა მღვდელს, ხუთი კენჭი ბლაღოჩინს. მაშასადამე ბლაღოჩინობა მღვდელს უნდა დარჩენოდა და არა ბლაღოჩინს. მაგრამ ამ დროს ბლაღოჩინმა წარმოადგინა სამი ხელწერილი სხვა მღვდლებისგან, აღმორჩევაში არ მყოფთაგან, რომ მითომც ის სამი მღვდელი იმას ირჩევდნენ. ამ გარემოებამ ჩაშალა მღვდლების წადილი. ბლაღოჩინმა წარადგინა მთავრობასთან ეს აღმორჩევითი ქაღალდი, და რასაკვირველია ისევ იმასვე დარჩებოდა ბლაღოჩინობა, თუ არ შესწევნოდათ ის გარემოება, რომ მღვდლებმა იჩივლეს ამისთანა უკანონოდ მოქცევაზედ. მთავრობამაც შეიტყო ესა და მიანდო გამოძიება მეორე ბლაღოჩინს. მაგრამ ისმის, რომ ეს გამომძიებელი იჭერს თურმე იმ ბლაღოჩინის მხარესაო. მოდი და იჩივლეთ ბლაღოჩინებზედა, ამის მნახველებმა? ჩვენც ამის მნახველს, დაგვიწყვია გულზედ ხელები და შევყურებთ დიდის კრძალულებით ბლაღოჩინებს! ახ! როდის იქნება, რომ ჩვენც, მსგავსად რუსეთის მღვდლებისა, მოვეწიოთ ამასა, თითონვე ვირჩევდეთ ბლაღოჩინებს!...“

სწორე მოგახსენო, უფ. რედაქტორო! ამ მღვდლის ნაამბობმა ძალიან დამაფიქრა!? მე ვკითხე სიმართლე ამა მოთხრობისა რამდენსამე სხვა მღვდელსა და ყველამ შეამოწმა ეს მოთხრობა, ზედ დამატებითა, რომ ისინი თუმცა ძღვენსაც არ აკლებენ ყოველს შემთხვევაში, ფეშქაშებსაც უგზავნიან, ფულათაც არ აკლებენ, მაგრამ მაინც ბლაღოჩინები არ იშლიან თავისასა და უფრო და უფრო მეტსა და მეტსა თხოულობენ და თავს გადიან! არ შეხვდები მღვდელსა, რომ პირველათ ბლაღოჩინზე არ შემოგჩივლოს. როგორ მოგწონთ, უფ. რედაქტორო, რომ ბლაღოჩინები, რომელნიც უნდა იყვნენ საგნად ლაპარაკისა კეთილის მხრითა, ხდებიან სალაპარაკო საგნათ ბოროტის მხრით? მღვდლები ძლივს შოულობენ დღიურს ლუკმასა, რის ვაითა და ვაგლახითა, რის ჩხუბითა და ლანძღვითა მრევლთანა, და ამასაც ცდილობს ბლაღოჩინი, რომ გამორჩეს რასმესა. მართალია ამ ნაირი ყოფა-ქცევა ბლაღოჩინებისა ძნელათ დასაჯერებელია, მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ამ ნაირი ყოფაქცევა იმათ ჩვეულებათ აქვთ გადაქცეული და ჩვეულება ვამხდარა მეორე ბუნებათ. ეს ბლაღოჩინები არიან დადგენილნი ზოგიერთნი თითქმის ოცი წლის წინათა, და აბა, იფიქრეთ, ამდონს ხანში ესენი ვერ დახელოვნდებოდნენ ქცევაშია, რომ ასარგებლონ თავისი თავი? ოცი წელიწადი რომ წყალი ჩაგუბდეს ერთს ადგილსა, ისიც წახდება და არა ადამიანი. აი, ამისთვის თხოულობენ ჩვენი მღვდლები აღმორჩევითს დაწყებასა. აი, ამისთვის ელიან ისინი, ამ დაწყებასა მოუთმენლათ; მაშინ, რასაკვირველია, ბლაღოჩინი ამოირჩევა სამის წლითა, და მაშასადამე ბლაღოჩინი იქნება დამოკიდებული თვით მღვდლებზედა: მოიქცევა კარგათ სამის წლის განმავლობაში, დარჩება ისევ ისა მეორე სამ წელიწადშიაცა, თვით მღვდლებისავე აღმორჩევითა; არა და გადააყენებენ და სხვას აღირჩევენ....

მიზიყელი.

აგვისტო.

---

### გორიდგან

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ყველამ ვიცით—როგორი დიდი გავლენა აქვს კარგის მხრით კარგს ჰავას და ცუდის მხრით ცუდს ჰავას კაცის სიმრთელეზედ;— ამისთვის ყველა ხალხი, რომელიც კი ამაში დარწმუნებულია, ცდილობს დაიცვას ყოველ შემთხვევაში სისუფთავე თავის საცხოვრებელს ადგილებში და ქალაქებში. ზოგან არიან დაწესებულნი სხვა ქვეყნებში იმისთანა საზოგადოებები, პოლიციის გარდა, რომლების ვალს შეადგენს ზედა-მხედველობა ქალაქის და მცხოვრებლების სისუფთავეზე. ჩვენ გორში კი არცარა ამისთანა საზოგადოება არის და არც თვით პოლიცია ანუ რაც არის აქ პოლიციის სამაგიერო—უგდებს ამისთანაებს ყურს: მომეტებული ნაწილი გორის ქუჩებსა სავსეა, უკაცრავათ კი ნუ ვიქნები, მკითხველო, დამპალი ტალახითა, წყლითა, ოღრო-ჩოღროებითა, რომლებშიაც ყრია მკვდარი კატები, ძაღლები და ყოველი უწმინდურობა. ამას გარდა, თუმცა ძლიერ საკვირველია, მაგრამ სამწუხაროთ ჩვენდა, მართალია ისა, რომ ცარიელი ადგილები, რომლებიც არიან დარჩომილნი ზოგსა და ზოგს სახლს შუა, აგრეთვე თვით ეზოები სახლებისა, არ არიან ნაკლებნი, თავიანთ უწმინდურობით, ქუჩებზედ. მადლობა ღმერთსა, რომ ქარი იცის აქ ხშირათ, რომელიც უჰქვლია სწმენდს წამხდარ ჰაერს, თორემ აქამდისინ იქნება ჩვენც გაგვიჩნდებოდა შეუბრალებელი და შეუწყნარებელი სტუმარი — ხოლერა. განა ჩვენი გორი, რომელსაც მოელის კარგი ბედი და მნიშვნელობა ამ რკინის გზის გამო, ღირსია ამისთანა უყურადღებობისა?! ..... საკვირველი ის არის კიდევ, რომ ხელმწიფის მობრძანების ხმამაც არავის ყური არ შეაბერტყინა არც ამ ქუჩების სისუფთავეზედ და არც სხვა რაზედმე: მაგ. არცარავინ სახლებს ათეთრებს, ამშვენიერებს გარედგან, როგორც იციან ამისთანა შემთხვევებში; არამც თუ კერძო პირნი თავიანთ სახლებს არ ამშვენიერებენ, არამედ იმ შენობაებსაც ყურს არავინ უგდებს, რომლებიც შეადგენენ ხაზინის კუთვნილებას, რომლისაც რომა ყოველს წელიწადს გადადებული არის ხაზინიდგან რამდენიმე ფული ამ სახელმწიფო შენობების რემონტისათვის. ჯერ ყოველიფერი ასრეა ჩვენს გორში, და არ ვიცი, ამას იქით რა იქნება.

ქ. ზ.

25-ს აგვისტოს.

---

ჩვენი რკინის გზის თაობაზე გაზეთს „კავკაზში“ სწერენ, რომ ყვირილიდამ ხარაგაულამდი და თითქმის მოლოთამდიც გზა შემოდგომამდი სრულიად მზათ იქნებაო. ყველაზე უფრო ძნელი სამუშაო მოლითიდამ პონამდია, მაგრამ ამ სივრცეზედაც 1871 დასაწყისისთვის გზა მზათ იქნებაო. სურამიდამ ტფილისამდი მიწის მუშაობა შარშანვე იყო თითქმის სულ მზათ. ახლა აქ აშენებენ სტანციებს, ხიდებს დგამენ და შემდეგ ტრავერსებისა და რელსების დაწყობის მეტი არაფერი არ დასჭირდებათ. თუ მუშაობა შემდეგაც ისე განაგრძეს, როგორც ახლა მიდის, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ფოთიდამ ტფილისამდი რკინის გზა მომავალი წლის შემოდგომამდი სრულიად მზათ იქნება.

*
* *

„კავკაზისავე“ კორრესპონდენტი იწერება სოხუმიდამ, რომ იქაური მცხოვრებლები ძალიან შეწუხებულნი არიან თურმე ზღვისაგან, რომელსაც ცოტ ცოტათი, მაგრამ მუდამ, მიაქვს თურმე ქალაქის ნაპირა მიწები. განათლებულ ქვეყნებში ყველგან, სადაც ქალაქები ზღვის ნაპირას არიან აშენებულნი, წყლის ნაპირას კედელს აშენებენ და ამით იცავენ ქალაქის მიწას. სოხუმელებსაც უთხოვნიათ მმართებლობისთვის, რომ ქვითკირის კედელი აგვიშენეთო, მაგრამ ჯერ ამის თაობაზე არაფერი განკარგულება არ მოუხდენიათ. კორრესპონდენტს მოჰყავს ამის თაობაზე ერთს სოხუმელთან მუსაიფი.

— თუ ჩვენ ქვის კედელს არ აგვიშენებენ, მაშინ ვიჩივლებთო, უთქვამს სოხუმელს.

— ვისთან იჩივლებთ?

— ჩვენ ვიცით, ვისთან ვიჩივლებთ.... ხაზინას უჩივლებთ..... თვით ღმერთს მივცემთ არზას. კანონის ძალით მიწის პატრონს იმან უნდა უზღოს ზიანი, ვისაც წყალი ეკუთვნის. მაშ თუ ზღვა ხაზინისაა, ზიანიც იმან უნდა გვიზღოს; თუ არა და ბოლოზის (დამოჟნის) შემოსავალი ჩვენ მოგვეცენ სამი წლის ვადით მაინც და მაშინ ჩვენ ვიცით — როგორ კედელს გავაკეთებთ......

*
* *

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ანდრონიკოვი აცხადებს, რომ, მმართებლობის ნება-რთვით, სექტემბრის 10 იქნება ტფილისში არა—ჩვეულებრივი კრება გუბერნიის თავად—აზნაურობისა და ამიტომ ის უმორჩილესად თხოვს იმ დღეს დილის 10-საათზე მივიდნენ იმის სახლში.

*
* *

„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ მმართებლობას განზრახვა აქვსო, რომ აფხაზეთში კაცების მონასტერი გამართოს, იმისთვისო რომ იქ ქრისტიანობა გაავრცელოსო. მონასტერში მხოლოთ ისეთი ბერები იქნებიან, რომელთაც სასულიერო აკადემია დაუსრულებიათ. ამ მონასტერთან აგრეთვე ვაჟების შკოლა უნდა გაიმართოს.

---

# რუსეთი

## მედროჟკეების ამბავი ოდესელი

ახირებული სანახავი იყო თურმე აგვისტოს 9-ს ქალაქი ოდესა: ეს მდიდარი ზღვის ნაპირა ქალაქი, რომელიც მუდამ მოძრაობაშია, მუდამ ჰქუხს სიცოცხლითა, რომლის ქუჩებზე დღე და ღამე გაუწყვეტელი რახარუხი ისმის ათასნაირი ეკიპაჟებისა,—ამ დღეს თითქოს სძინავსო, ისე მიჩუმებული და მიყრუებული იყო; ქუჩებზე ერთ დროჟკას, ერთ ეკიპაჟს ვერ დაინახავდით. რა მოხდა ისეთი ოდესაში? რა იყო ამ ქალაქის მიძინების მიზეზი? რუსულ გაზეთებიდგან ვტყობულობთ, რომ აგვისტოს 9-ს ოდესაში მომხდარი ისეთი ამბავი, რომელიც ხშირათ ხდება ხოლმე ევროპის დიდ ქალაქებში და რომელიც რუსეთში მხოლოთ ორჯელ მოხდა ამ უკანასკნელ დროს: ოთხი ათასს (4,000) ოდესის იზვოშჩიკებს პირობა მიუციათ ერთმანეთისთვის, რომ, თუ 9-აგვისტოდან ტაქსა არ მოგვიმატეს, ნუ გამოვალთ ქუჩებზედ ჩვენი დროჟკებითა და ფაეტონებითაო. მართლაც, იმდღეს სადილობამდი არც ერთი დროჟკა, არც საზოგადოთ სხვა რომელიმე ეკიპაჟი არ გამოჩენილა ოდესის ქუჩებზე. ამ გარემოებას აუღელვებია ქალაქი; განსაკუთრებით უგრძვნიათ უდროჟკობა იმათ, ვინც ხომალდებით და რკინის გზებით მოვიდნენ, ან წასვლას ემზადებოდნენ, რადგან ბარგის ტარებ-ტან-გარდმოტანი ვერავინ ვერ [illegible], მხოლოდ რამდენიმე ამხანაგის მოღალატე მედროჟკე გამოჩენილან ქუჩებზე თავიანთ დროჟკებითა, მაგრამ სხვა იზვოსჩიკებს ძალათ გამოუხსნიათ იმათი ცხენები, აუჭრიათ მოსართავები და ზოგან ზედ მჯდომრებიც ჩამოუგდიათ. ამ არეულობის მიზეზი, როგორც ზევით ვთქვით, ტაქსა ყოფილა. უნდა იცოდეთ, რომ ოდესაში დიდი სიძვირეა და ეს სიძვირე, როგორც ყოველთვის და ყველგან, ყველაზე უფრო უბრალო მუშა ხალხისთვის არის საგრძნობელი. მედროჟკეებისთვის ადრეც იყო თურმე დადგენილი ტაქსა, მაგრამ ამ ტაქსას არც ისინი და არც მთავრობა მაგდენათ ყურს არ უგდებდენ. აგვისტოს დამდეგს ქალაქის გამგეობამ (დუმამ) ახალი ტაქსა შეადგინა იზვოშჩიკებისთვის და ქალაქის უფროსმა დაამტკიცა ის. იზვოსჩიკებმა იმ წამსვე დაიწყეს თურმე ჩივილი, რომ ამ ტაქსის ასრულება არ შეგვიძლიაო, უიმისოთაც სიძვირეა ოდესაშიო და ამ ტაქსის შემდეგ ხომ სულ ცხოვრება გაგვიჭირდებაო. მაგრამ იმათ ჩივილს კაცმა ყური არ ათხოვა. ამის გამო იზვოსჩიკებმა თავისი საშუალებით მოინდომეს საქმის გარიგება: სიტყვა მისცეს ერთმანეთს, რომ აგვისტოს ცხრას ნურცერთი ნუ გამოვალთ სამუშაოთო. ამ დღეს 12 საათზე ქალაქის თავმა (голова) შეჰყარა ქალაქის გამგეობის წევრები* და გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდათ ამ საქმის თაობაზე. ამ დროსვე ასიოდე იზვოსჩიკი შეკრებილა დუმასთან და ნდომებიათ ჩივილის შეტანა და თავიანთი მოქმედების ახსნა. ქალაქს გადაუწყვეტია, რომ ხუთი დღის ვადით უნდა მოისპოთ ტაქსაო და მერე ახალი ტაქსა უნდა დავადგინოთო. ეს განკარგულება გამოუცხადებიათ იზვოსჩიკებისთვის, რომელნიც ცოტცოტათი დამშვიდებულან. იმ დღესვე ზოგიერთი მედროჟკეები გამოსულან ქუჩებზე და მეორე დღეს თითქმის ყველას მოუკიდნია ისევ თავის საქმისთვის ხელი. „ჩვენ ისევ დავიწყებთ მუშაობასო, ამბობენ თურმე მედროჟკეები, მაგრამ შემდეგში რა იქნება — არ ვიცითო.“ ამ არეულობის დროს რამდონიმე იზვოსჩიკი დაუჭერიათ.

---

*
* *

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან: „ჩვენ გავიგონეთ, რომ ამ სექტემბერში განიხილავენ სახელმწიფო რჩევაში ბეჭდვის კანონების ახალ პროექტსა. ძალიან სამწუხაროა, რომ ამისთანა ყურადღების ღირს საქმეს, რომელსაც აშკარათ განხილვა ბევრ სარგებლობას მოუტანდა, საიდუმლოთ იხილავენ.“

*
* *

ამას წინეთ რუსულ გაზეთებში სწერდენ და „დროებაშიაც“ იყო მოყვანილი ის ამბავი, რომ მმართებლობა სასულიერო სასამართლოების გამართვას აპირებს ისე, როგორათაც ახლა სამოქალაქო სასამართლოები არისო. ამ მომავალ სასულიერო სასამართლოების განწყობილებაზე აი რას იწერება ახლა გაზეთი „რუსის უწყებები:“ პირველათ საქმე დაიწყება ე პ ა რ ქ ი უ ლ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო შ ი, რომელიც იქნება ყოველს ეპარქიაში. ამის განაჩენი არქიერმა უნდა დაამტკიცოს ან დაარღვიოს. თუ მოდავე ან მოპასუხე ამ სასამართლოს განაჩენზე არ დაყაბულდება, იმას შეუძლია გადაიტანოს საქმე მეორე ინსტანციაში — ს ა ს უ ლ ი ე რ ო ო ლ ქ ი ს ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო შ ი. ამისთანა სასამართლოები იქნებიან: პეტერბურღში, მოსკოვში, კიევში, ყაზანში, ოდესაში, ტობოლსკში, ირკუტსკში და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ვ ი ს — ტ ფ ი ლ ი ს შ ი. თავ-მჯდომარედ სასულიერო ოლქის სასამართლოებში მიტროპოლიტები და არხიეპისკოპოსები იქნებიან და წევრებათ— ორი ან მეტი არქიერი. უმაღლესი ინსტანცია—კასაციისა—იქნება უ წ მ ი ნ დ ე ს ა

სინოდი, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება და გადასცეს საქმე სხვა სასამართლოს.

* * *

სამხედრო სამინისტრო დროგამოშვებით სცემს რუსეთის ღენერლების სიას, რომლიდგანაც რამდენიმე შესანიშნავი ცნობები მოგვყავს მთელს რუსეთის ჯარში ითვლება 1,100 ღენერალი, რომელთაც წელიწადში—4,166,668 მანეთი ეძლევათ ჯამაგირი. ამ რიცხვიდამ კავკასიის არმიაშა ითვლება 104 ღენერალი 369,995 მანეთი ჯამაგირით. ჯამაგირს გარდა 203 ღენერალს 507,400 მან. ეძლევათ არენდის ფული და აქედამ კავკასიის არმიის 11 ღენერალს ეძლევა—17,500 მან. მაშ ყველა ღენერლებს ეძლევათ წელიწადში—4,674,068 მან. მინისტრებში ყველაზე უფრო ნაკლები ჯამაგირი სამხედრო მინისტრს ეძლევა (15,000 მან.) და ყველაზე მომეტებული სასახლის მინისტრს (27,150). მოსკოვის ღენერალ-ღუბერნატორს ეძლევა წელიწადში—36,000 მან., ნოვოროსიის—24,840, აღმოსავლეთის ციმბირისას—23,953 და კიევისას—20,000, პოლშის სამეფოს მთავარმართებელს 63,574 მან.

* * *

რუსულ გაზეთებში ბევრს სწერენ ამ უკანასკნელ დროს ერთი ფინლანდიელი მებატონის მოკვლაზე, რომელიც თავის სოფლის გლეხებმა მოჰკლეს. ეს მებატონე—ბარონ ბიუნე, როგორც აღმოჩნდა, ძალიან გარყვნილი და უხასიათო ყმაწვილი კაცი ყოფილა და ძალიან ავიწროვებდა გლეხებს. რამდონჯერმე იყო თურმე ის სამართალში მიცემული, მაგრამ დასჯისაგან ყოველთვის იხსნიდა თავს. იმის მოკვლის მიზეზზე აი რას ამბობენ ერთს რიგის გაზეთში: ამას წინეთ ბარონ ბიუნეს მამულში რამდენიმე სოფლის მწყევსები (პატარა ბიჭები) დაყუნცულიყვნენ და ბუნებით მოთხოვნილებას ასრულებდენ. ამ დროს ბავშვებს წაესწრო თავზე ახალგაზდა ბარონი და იმათვე შეაჭამა თავიანთი განავალი. გლეხებმა იჩივლეს ბარონის ამისთანა საძაგელს მოქმედებაზე. სასამართლომ გადაუწყვიტა იმას შვიდი თვით საპყრობილეში ჩაჯდომა, მაგრამ, ნათესავების თხოვნით, ის ათ აგვისტომდი თავისუფლათ დაიარებოდა. ამ დღეს ის თავს ადგა თურმე მუშებს, რომელნიც სათიბში მუშაობდნენ; ცოტა ხანს შემდეგ ის მიწვა თივაზე და წაეძინა. ამ დროს იმას ორი გლეხი დაეცა თავზე, და დაუშინეს კეტები და ქვები თავ-პირში და იქვე მოჰკლეს. ამ საქმის თაობაზე ახლა გამოძიებაა დანიშნული.

* * *

1869 წელს მოსკოვში ოთხმოცდა ცხრამეტი საზოგადო სახლი ყოფილა და ამ სახლებში 1,544 ისეთი ქალები ცხოვრებდენ, რომელნიც თავის სხეულით ირჩენდენ თავს. ამას გარდა 1,086 ბოზი ქალი ცალკე ცხოვრებდა. ამ 2,730 ქალიდამ ნახევარი ცუდი ავათმყოფობით ყოფილა იმ დროს ავათ.

* * *

ერთ რუსულ გაზეთს გაუგონია, რომ მმართებლობას ჰსურს მოსპოს ფულის გადახდა ჩინების მიღების დროს; მის ნაცვლათ მოსამსახურე პირებს მაშინ გადახდებათ ფულები, როდესაც უმაღლესი თანამდებობა მიეცემათ მათ.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

ვერსალის ნაციონალურს კრებაში, ბევრის მოლაპარაკებისა და გაცხარებული ბაასის შემდეგ, გადაწყდა ორი საქმე, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს მთელი საფრანგეთის ყურადღება ჰქონდა მიქცეული: ერთი ტიერის უფლების გაგრძელება და მეორეც ნაციონალური გვარდიის დათხოვნა. აგვისტოს 18-ს უნდა გაეხილა ნაციონალურ კრებას ტიერის უფლების თაობაზე უფ. რივეს პროექტი და ამასთან ორი სხვა დეპუტატის შენიშვნა—ბიუფესი და შუაზელისა. ორივესავე წინადადება თანახმა არიან იმაში, რომ ტიერი, 1848 წლის კონსტიტუციის ძალით, კიდევ სამი წელიწადი უნდა დარჩეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ; განსხვავება ამათში ის არის, რომ შუაზელი თავის წინადადებაში ამბობს, რომ ნაციონალური კრება მმართებლობის განმაწესებელი ანუ დამადგენელი კრება არ არისო; ამიტომ ის ცოტახანში უნდა გაუქმდეს და მის ნაცვლათ ახალი კრება უნდა ამოირჩიოსო. შუაზელის მომხრეთ იყვნენ გამბეტა და სხვა ყველა მარცხენა მხრის დეპუტატები. მეორე—ბიუფეს—წინადადება კი ამის წინაალმდეგ ამბობს, რომ ახლანდელ ნაციონალურ კრებას მმართებლობის ფორმის განწესების უფლება აქვსო. ბოლოს 433 ხმის 227-ზე უმეტესობით ნაციონალურ კრებაში ეს საქმე ისე გადაწყდა, როგორც ბიუფეს წინადადება თხოულობდა.

მეორე საქმეც—ნაციონალური გვარდიის დათხოვნა—ისე გადაწყდა კრებაში, როგორც მარჯვენა მხრის კონსერვატორებს ანუ მონარხიელებს უნდოდათ: ნაციონალური გვარდია მთელს საფრანგეთში გაუქმებული უნდა იყვეს. თუმცა ტიერი და ამ შემთხვევაში იმასთან ერთად რადიკალური რესპუბლიკელები ძალიან ცდილობდენ, რომ ნაციონალური გვარდია არ ყოფილიყო დათხოვილი, მაგრამ კრების უმეტეს ნაწილის წინაალმდეგობასთან ვერაფერი ვერ გააწყეს.

უკანასკნელ დროს ლიონის მუნიციპალიტეტმა რჩევამ ცოტა არ იყოს აალელვა საფრანგეთის კლერიკალები. საქმე აი რაში მდგომარეობს. ლიონის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა, რომ დღეის შემდეგ ჩვენს შკოლებში სამღვთო წერილის სწავლა აღარ იქნებაო, სამღვთო წერილი დედ-მამამ უნდა ასწავლონ ყმაწვილებს შინაო, რადგან ეს სინიდისის საქმეაო. ამას გარდა იმან გადააყენა ზოგიერთი ძველი მასწავლებლები თავის შკოლებში და მათ ნაცვლათ ახლები დანიშნა. ამ ამბის თაობაზე განათლების მინისტრმა ყველა პრეფექტებს მისწერა, რომ მუნიციპალიტეტს არასოდეს არ უნდა მიეცეს იმნაირათ კანონის დარღვევის ნებაო, ყური უგდეთ ამ საქმესაო.

— ფრანცუზულ გაზეთებში სწერდენ, რომ ხალხს ჰსურს ოთხ სექტემბერს საფრანგეთში რესპუბლიკის დაარსება და ნაპოლეონისგან განთავისუფლება იდღესასწაულოსო და ამ დღესასწაულისთვის დიდი მზადება არისო. მაგრამ მოკლე ხანში საფრანგეთის შინაგანმა მინისტრმა გამოაცხადა, რომ ამ დღესასწაულობის დღეს ფრანცუზებს რესპუბლიკის დაარსების გახსენებასთან იმდენი დარდი, იმდენი უბედურება და ჯავრი მოაგონდებათ, და ყველა ესენი ისე აალელვებენ იმათ, რომ სჯობს ნუ ვიდღესასწაულებთ ამ დღესაო. ამასთანავე მინისტრმა პრეფექტებს მიწერილობა გაუგზავნა, რომ, თუ სადმე მოინდომონ ოთხ სექტემბერს დღესასწაულობა, თქვენ დაუშალეთო.

## ინგლისი

ქვის ნახშირი და რკინის მადანი შეადგენენ ინგლისის უმთავრეს სიმდიდრეს; ბუნებას რომ ესენი არ მიეცა ინგლისისთვის, ის ვერასოდეს ვერ იქნებოდა ისე მდიდარი და ისე დახელოვნებული ყოველ გვარ წარმოებაში, როგორც ახლა არის. ამიტომ ინგლისელებს, უეჭველია, ეშინიათ, რომ ეს მადნები არ გამოელიოთ. ამ ხუთი წლის წინათ მმართებლობამ დანიშნა იქ კამისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია—რამდენი ქვის ნახშირი მოითხრება კიდევ ინგლისში და რამდენი ხნის სამყოფი იქნება ის. ხუთი წლის მუშაობის შემდეგ კამისიამ გამოაცხადა ახლა თავის გამოკვლევა, რომლიდგანაც შემდეგს ვტყობულობთ: მთელი ინგლისის ქვის-ნახშირის მადნებიდამ კიდევ 90,000 მილიონი ტონნი ამოითხრება. კამისიის აზრით, ამის მეტის ამოთხრაც შეიძლებოდა, მაგრამ რაც უფრო ღრმათ ჩაიწევს მადანი, ისე უფრო ძნელი და ძვირათ ამოსაღები იქნება, ვერც მუშები იმუშავებენ დიდ სიღრმეში (რადგან იქ ჰაერი არ ვარგა) და ამიტომ, თუმც ქვის ნახშირი კიდევ დარჩება, მაგრამ იმით სარგებლობა აღარ შეიძლება. რამდენხანს ეყოფა ინგლისს ეს ნახშირი? კამისიაზე ადრე ერთმა სწავლულმა, ჯევონსმა, გამოიანგარიშა, რომ, თუ ისე ემატა ხარჯი ქვის ნახშირს, როგორც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ემატაო, მაშინ ინგლისს თავის ქვის ნახშირი მხოლოთ 110 წელიწადს ეყოფაო. ამ გარემოებამ მთელი ინგლისი შეაშინა. მაგრამ კამისიამ ნუგეში მისცა ინგლისელებს: კამისიის ანგარიშით, თუ თადარიგით და ზომიერათ იხმარებენ ქვის-ნახშირს, 350 წლის სამყოფი კიდევ მოიპოება ჩვენს მადნებშიო, და მის შემდეგაც არაფრის არ უნდა გვეშინოდესო, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში ორმოცი იმდენი ქვის-ნახშირი მოიპოება, რამდენიც ინგლისში არისო.

## გერმანია

დღემდი კაცმა არ იცის—ავსტრიის და პრუსიის კანცლერებს (ბეისტს და ბისმარკს) რაზედ ჰქონდათ გაშტეინში მოლაპარაკება და ამიტომ გაზეთები ათასნაირ ჭორებს ჰბეჭდენ ამის თაობაზე. სხვათა შორის ერთს ბერლინის გაზეთში, რომელიც უმაღლესი პირებიდგან სარწმუნო ცნობებს ტყობულობს, სწერენ, რომ რაც უნდა იყოს გაშტეინის შეხვედრის შედეგი ის მაინც იქნებაო, რომ გერმანია და ავსტრია დამეგობრდებიანო და ამის გამო დარწმუნებული უნდა ვიყოთო, რომ ევროპაში ომიანობა ასე ადვილათ არ ატყდებაო.

# სამართალი

## სხდომა ს.—პეტერბურღის სამოსამართლო პალატისა იმ შეთქმის თაობაზე, რომელიც ახლანდელი მმართველობის წყობილობის დასამხობად იყო შედგენილი 1869 წელს.

დემენტიევის ქალი (აგრძელებს თავის ჩვენებას). ამ ნაირათ მე თანაუგრძნობდი სტუდენტებსა და მინდოდა ცოტა რამეში მაინც დავეხმარებოდი. ამის გამო მე საიდუმლოთ დავბეჭდე ჩემ სტამბაში და დავარიგე ქალაქში პროკლამაცია „საზოგადოებისადმი“.

„მე გავათავე სტუდენტებზე ლაპარაკი და ეხლა მინდა გითხრათ რამდონიმე სიტყვა ჩემ გათხოვებაზე. ტიპოგრაფიის ყიდვა რო მოვინდომე, 1,500 მან. მჭირდებოდა. ამდონი ფულები მე ხელში არა მქონდა. დედიჩემის შემდეგ მე დამრჩა 3,000 მან., მაგრამ ის ჩემ აპეკუნს ებარა და სანამ არ გავთხოვდებოდი, ან სრულ-წლოვანი არ შევიქნებოდი, მანამ ამ ფულებს არ მომცემდენ, კანონით. მე მინდოდა მესესხნა სადმე ფული, მაგრამ აპეკუნი არ დათანხმდა. ამ ნაირათ მე მხოლოთ ერთი საშუალება დამრჩა: ქმარი უნდა შემერთო. პირველათ მე მინდოდა ტკაჩოვს წავყოლოდი, მაგრამ, რადგან იმას პოლიცია ცუდათ უყურებდა, ჩვენ ვიცოდით, რომ სტამბის გახსნის ნებას არ მოგვცემდენ. ჩემი განზრახვის ასასრულებლათ, რომ ფულების გამოტანა შემძლებოდა, მე მხოლოთ ფორმისათვის მინდოდა ნიკოლაევს წავყოლოდი ცოლათ. აგიხსნით, რა განზრახვა მქონდა. ჩემი საკუთარი გამოცდილებით და ათასი მაგალითით, მე დავრწმუნდი, რომ ჩვენში განათლებული ქალების მდგომარეობა ძალიან ძნელია: ისინი დილის 9 საათიდამ საღამოს 9 საათამდი შრომობენ, მაგრამ შრომის ფასი კი იმდონიც ძვლივს ეძლევათ, რამდონიც ლუკმა-პურისთვის არის საჭირო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ დროში ქალს აღკრძალული აქვს ათას ნაირი შრომა; იმას შეუძლია მხოლოთ ბავშების აღმზრდელათ იყოს და ათასში ერთმა იქნება ბუღალტერობა, ან ტელეგრაფისტობა იშოვნოს; მაგრამ ამ უკანასკნელი თანამდებობითაც ძალიან ცოტა ქალები სარგებლობენ, რადგან ჩვენი ინსტიტუტები და საზოგადოთ ქალების სასწავლებელნი ისეთ სწავლას არ აძლევენ იმათ, რომელიც ცხოვრებაში, ლუკმა-პურის საშოვნელათ, გამოსადეგი იყოს. იმისთვის რომ ახლანდელი ქალების გაჭირვებული მდგომარეობა შემსუბუქდეს, საჭიროა, რომ იმათ უმაღლესი სწავლის მიღების და ამ სწავლის თვით საქმეში გამოყენების ნება მიეცეთ. თუმც რამდონჯერმე ვითხოვეთ, რომ უნივერსიტეტში და მედიკურ აკადემიაში სწავლის ნება მოგვცემოდა, მაგრამ მმართებლობა ყოველთვის უარს გვეუბნება.

„ჩემი განზრახვა იყო ქალებისათვის რეალური გიმნაზია გამემართა, სადაც იმათ პრაქტიკული სწავლის მიღება შეეძლოთ. მერე მინდოდა ისეთი სახელსაქმო სახლები გამემართა, სადაც მხოლოთ ქალებს უნდა ემუშავნათ. ქალების მდგომარეობის შესამსუბუქებლათ, მე მინდოდა, რომ რაც შემოსავალი იქნებოდა იმათი შრომისაგან, თვითონვე იმათ გაეყოთ თანასწორათ და ამას გარდა ამ სახელოსნო სახლებში ქალები დღეში ხუთი ან ექვსი საათის მეტს არ იმუშავებდნენ, დანარჩენ დროს ისინი თავის ჭკუა-გონების გახსნას შესწირავდნენ. აი რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა ჩემ სტამბას. მე ვიცოდი, რომ იმით რამდონსამე ქალს მივსცემდი ცხოვრების ღონისძიებას და ამას გარდა ეს იქნებოდა კარგი მაგალითი სხვებისთვისაც და ამიტომ მე ჩემი თავის სარგებლობას არ ვუყურებდი. აი ამიტომ, მხოლოთ საშუალების მოსაპოებლათ, მინდოდა მე ფორმისათვის ქმარის შერთვა (фиктивный бракъ), იმ პირობით, რომ შევირთავდი თუ არა, იმ წამსვე გავშორდებოდით ერთმანერთს. ეს ჩემი განზრახვა მე ტკაჩოვს გაუმჟღავნე და ვთხოვე, რომელიმე პატიოსანი კაცი ეშოვნა, რომელიც დათანახმებულიყო ფორმისათვის შევერთე მე, რომ ფულების აღების უფლება შემეძინა. ტკაჩოვმა მითხრა, რომ ეს ერთობ თავხედური აზრიაო, მირჩევდა ორი წელიწადი კიდევ მომეცადნა და სრულ წლოვანი შევიქნებოდი. ამ დროს ტკაჩოვი მოსკოვში მიდიოდა და მეც თანწავყევი, არ უთხარი კი რისთვის; ნამდვილათ კი იქ მინდოდა ვისმეზე ჯვარი დამეწერა. ჩვენ მივედით მოსკოვში. მეორე დღესვე მოვნახე იქ ნიკოლაევი და ვთხოვე, რომ ამა და ამ საქმისათვის ჯვარი დაეწერა ჩემზე. ის დამეთანხმა; ჩვენ მიტროპოლიტის მოწმობა ავიღეთ და ყველაფერში მზათ ვიყავით. მაგრამ რადგან ეს იყო ყველიერის უკანასკნელ დღეს და ჩვენ ერთობ დაგვაგვიანდა საყდარში წასვლა, მღვდელმა ჯვარის დაწერის უარი სთქვა. ამ ნაირათ მე ვერ მოვახერხე ეს ჩემი პირველი განზრახვა ამესრულებინა.

მე მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი.“

თავს-მჯდომარე. არ შეიძლება მითხრათ, ვისგან მიიღეთ თქვენ ის პროკლამაცია?

დემენტიევის ქალი. ამ კითხვაზე მე თქვენ პასუხს არ მოგცემთ.

თავს-მჯდომარე. როგორ დაარიგეთ თქვენ პროკლამაცია ქალაქში?

დემენტიევის ქალი. პოჩტით გავგზავნე გაზეთების რედაქციებში და ამას გარდა მე თვითონ დავყარე რამდონიმე ეკზემპლიარი უნივერსიტეტთან, აკადემიასთან და ტეხნოლოგიურ ინსტიტუტთან.“

(სხდომა შეჩერდა ერთ საათს; შემდეგ შემოიყვანეს ბრალდებული ტკაჩოვი, რომლის ჩვენებას ჩვენ შემდეგ №-ში მოვიყვანთ.)

(გაგრძელება შემდეგში)


# განცხადება

## პირველ დაწყებითი შკოლა და ბავშვების ბაღი უფ. სიმონოვიჩის ცოლისა

შკოლაში და ბაღში ორივე სქესის ყმაწვილები მიიღებიან: შკოლაში 7 წლიდამ ვიდრე 11-ამდი და ბაღში 4-იდამ 7-დამდი. სწავლის ფასი შკოლაში 60 მან. წელიწადში და ბაღში—4 მან. თვეში. ვისაც ყმაწვილების შეყვანა შკოლაში ან ბავშვების ბაღში უნდა, შეუძლია მოელაპარაკოს სიმონოვიჩის ცოლს დილის 10-დამ ნასადილევის 2-საათამდი. შკოლა იმყოფება სოლოლაკში, სვეჩნიკოვის სახლებში, ძველ ინსტიტუტას ქუჩაზე.

# პოპურრი

ქართული სიმღერებისა,

შედგენილი

თ. დავით ერისთავისაგან

ისყიდება: თფილისში ლანკოს მაღაზიაში და ქუთაისში უფ. ხარაზოვის მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Сентября, 1871 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.